დანართი # 2

სანქციები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის.

ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის, სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევ მოთამაშეს ან პიროვნებას და მათ სრკ-ს წევრ სუბიექტს დააკისროს ქვემოთ ჩამოთვლილი და/ან სხვა შესაბამისი სანქციები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:

ა) გაფრთხილება, გაკიცხვა;
ბ) ფულადი ჯარიმა და/ან განკარგულება ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
გ) გაძევება ტურნირის და/ან მატჩების სერიის დარჩენილი ნაწილიდან;
დ) მატჩის შედეგის გაუქმება და ერთერთი ან ორივე მონაწილე გუნდისთვის წაგების ჩათვლა;
ე) მატჩის გადათმაშება;
ვ) საცხრილო ქულების დაკლება;
ზ) სრკ-ს მიერ ორგანიზებული თამაშების დროს სათამაშო სივრცეში ან სათამაშო პერიმეტრში დაშვების აკრძალვა;
თ) რაგბთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ/ოფიციალური პირის თანამდებობებზე მუშაობის გარკვეული პერიოდით აკრძალვა;
ი) ზემოთჩამოთვლილი და სხვა შესაფერისი სანქციების ნებისმიერი კომბინაცია;

მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხოფა

მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურცხყოფის ფაქტის განხილვისას, სადისციპლინო კომისია, დაღვევის სიმძიმის შეფასებისას, ითვალისწინებს შემდეგ დეტალებს:

ა) გამოყენებული შეურაცხმყოფელი სიტყვების უცენზურობის და სენსიტიურობის ხარისხს;

ბ) გამოყენებული შეურაცხმყოფელი სიტყვების გამეორების სიხშირეს;

გ) იყო თუ არა შეურაცხმყოფელი სიტყვები მატჩის ოფიციალურ პირთა ქმედებების შეფასება თუ მიმართული იყო პირადად მათკენ.

მაგალითისთვის : „რა ..... მსაჯობაა!“ და „ რა ..... მსაჯი ხარ !“ ან „ეს ..... ვერ ხედავ ?!“ და „შე ..... ვერ ხედავ ?!“

რეკომენდირებული დისკვალიფიკაციის ვადები ძირითადი არამართებული ქცევისათის

მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება	ნაკლებად სერიოზული	გაფრთხილება- 1 კვირა
	სერიოზული	2 – 5 კვირა
მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა	ნაკლებად სერიოზული	2-11 კვირა
	სერიოზული	12-52 კვირა
მატჩის ოფიციალურ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფა	ნაკლებად სერიოზული	12-47 კვირა
	სერიოზული	48 კვირა - სამუდამო
მატჩის ოფიციალურ პირთა მიმართ, მუქარის შემცველი ქმედება და/ან სიტყვები	ნაკლებად სერიოზული	12-23 კვირა
	სერიოზული	24-104 კვირა
სიტყვიერი თუ ქმედითი დისკრიმინაცია რელიგიის, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, უნარების, კანის ფერის თუ ეროვნების ან ეთნიკური წარმოშობის ნიშნით	ნაკლებად სერიოზული	2-17 კვირა
	სერიოზული	18-52 კვირა
მატჩის ოფიციალურ პირთათვის, სადისციპლინო პერსონალისთვის და/ან სრკ-ს წევრთათვის მცდარი ან ცრუ ინფორმაციის მიწოდება	ნაკლებად სერიოზული	2-23 კვირა
	სერიოზული	24-104 კვირა